



Digitized by  
Sri Bhagwan

Bogotensis N. M. A.

6.3. Wer kann sich erinnern

3.12° 543.

ლოგბის խոտანისი განცოფ. გამოცემა № 4

ପ୍ରକାଶକ ନାମ ।- ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ପରିଷଦ ।

# თბილის ლევანი.

ՀԱՅԱՖՅՈԼՈՒ ՑՈՒՄՆԵՐՆԵՐԸ.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

სტამბა იოსევ გ. ხელაძისა.

1912

899.962.1-32



2.12.543



ქ. მ. წ-კ. დამიტო. საზოგადოების ქუთაისის განყოფ. გამოცემა № 4.

ერათა რიცხვი გამაფილი სა.

# თბილის ლიმპური.

საქართველო მოთხოვა.



ქუთაისი.

სტამბა იოსებ მ. სელაძისა.

1913

## I.

ზიონგობისთვეა, გიორგობა-დღე. საშინალათ ცივა. თუმცა ჯერ ზამთარი არ დამდგარა, მაგრამ მისი წინამორბედი რთვილით სოფელი ჭედაშენი მთლიათ გადაპენტილია.

სუსხი ძვალსა და რბილში უვარდება კაცს და სიცივით კუნტავს, ხელებს უბეში აყოფინებს და ჩვეულებრივ ქართულ მძიმე ნაბიჯს აჩქარებინებს.

შოველი ბინიდან ძლიერი კვამლი ამოდის, დიდი და პატარა ცეცხლს აჩალებს, რომ მისი სხივით მანც ინუგეშოს გაბუტული პატარძალივით ღრუბლებში მიმალული მზის გამოჯავრებულმა.

მთელ სოფელში მარტო თინას კერაა გაცივებული, მარტო მისი შვილიშვილები სიცივისაგან გალურჯებულნი სხედან ცივ კერასთან და, ძველ ნაგლეჯ საბანში გახვეულნი, მშიერი მგლის-ლეკვებივით ყმუიან: „დიდედო, ცივა! ცივა! დიდედო, გვშია, გვშია!..“

რა ქნას საწყალმა თინამ, რა უშველოს, საიდან გააჩინოს ან ცეცხლი და ან ლუქმა? ვის მიმართოს, ვისა სთხოვოს ნუგეში! გაუჭირვა საქმე მეზობლებს ჩინჩერის თხოვნით, სხვის კარ-მიდამოზე ნაფოტის კრეფით; ვენახების ღობეზე ფიჩხის მტვრევისთვის ხომ არა ერთხელ იყო ნალანძლ-ნათრევი!

სხვისი ვენახიდან ჩუმათ სარების გამოტანა ხომ მძი-  
მე ცოდვათ ადევს თინას კისერზე.

— აი ორიოდე ჩანახი ფქვილი კიდევ უყრია გოდ-  
რის ძირში, მაგრამ რით გამოაცხოს? აგერ დღე-  
ნახევარია თვალი უჭირავს, რომ ეგებ მეზობელმა  
თონე გაახუროს ვინმე, რომ გაციებულ თონეზე  
ლავაშები მაინც მიუკრის ბალლებს, მაგრამ სად არის?  
უკელამ სადლესასწაულოთ ადრე დაიმზადა ნამცხვა-  
რი და ახლა არხეინათ სხედან.

— ნეტა ღონე მაინც მქონდეს, რომ აი გაღ-  
მა ჰალაში გავიდე, გამხმარი ჩირგვები, ძეძვები მრ-  
ვწებ-მოვწებო და სული როგორმე მოვიბრუნოვო, —  
ტუტუნობს საწყალი თინა, — მაგრამ ეს წყეული გუ-  
ლის კანკალი მკლავს, მუხლებს მიღუნებს, მკლავე-  
ბი სულ ძირსა მცვივა; ბევრჯერ ისე შემიხუთავს  
გულს, ისე წამიჭერს ყელში, რომ აპა გავთავდი  
დედაკაცი და ეს არის! ამ მწუხარებამ ხომ სულ  
ერთიან ძალა გამომაცალა... მა, წყეული იყავ და  
შეჩვენებული, ჩემო რძალო, რომ უნამუსობამ წა-  
გდლია, გათხოვდი და ეს უსუსური ბავშები მე,  
უძლოურსა და ცოცხალ-მკვდარ დედაკაცს, მომი-  
ყარე!

— ბები, პური, ერთი ბეწო პური! — გაიძახო-  
დენ დაშეული ბავშები.

— რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდე? — უნუ-  
გეშოთ გადმოყარა ცრემლები თინამ და თან და-  
უმატა: ერთი ბატონიანთამდინაც ვეღარ ავედი, რომ  
ხელი გამენძრია, გამეკეთებია რამე. დღეს ბატონის

Ըլլյոծաս, թրազալ և թշմարս տշրմց մոյլուն, յրտ-  
որ յրտան մանց զո՞մովովո, որոուզ լյը Շեման



ՄԱԿՈՏՐԱԳԻՐ  
ՂՐԱՆ, ԽԱՅ ՏՎԱ  
ՅԵԼՎԱԿԻՆԾ

մանց գամովտեռովով! մացրամ օմ մալլուծից հոցոր  
ազուք, հոցոր ազաբանո օմ ցուլու յանյալու ցա-  
դամկուք.

— ბები, პური, ერთი ბეჭო პური! — საცოდა-  
ვათ იღმიჲებოდენ ბავშები.

— მხ, ლმერთო, შენ მიიბარე ჩემი ცოდვი-  
ლი სული და ამ საცოდაობას მომარჩინე! — ისეთი  
სასოებითა და სასოწარკვეთილებით შევედრა თინამ  
მაცხოვარს, რომ ბავშებმაც კი იგრძნეს იმ ვაების  
ძლიერება და ტირილს უფრო მოუმატეს: „რათა,  
ბები, რათა? ჩვენ რაღა გვეშველება, ჩვენ ვიღა გვა-  
ჭმევს ლუკმას!..“

შცებ დუდუკის ხმა მოისმა შორი-ახლო მდგო-  
მი ბატონის სახლიდან — და მისმა მხიარულმა, ეშ-  
ხით სავსე წკრიალმა ქაჯის ხარხარივით გაირბინა ამ  
უბედურთა სადგურში და თითქმ მწარის დაცინვით  
ხმა მისცა მის დამშეულ მცხოვრებთა ტირილს.

თინას ამ ხმაზე თითქმ რაღაც გაახსენდა, იმის  
ათასათ დაღარულ, გაყვითლებულ პირისახეზე ლი-  
მილმა გადაირბინა; მის ნუგემდაკარგულ გულში  
რაღაც იმედმა გაახილა თვალი — და, წამს წინათ  
დავრდომილი და მკენესავი, ფეხზე ააყენა.

თინამ პირი დაიბანა, თავზე სუფთა, ათასი სა-  
კერებლით დაკონკილი თეთრი ჯალაშის ლეჩაქი  
მოიხვია, ფეხებზე სუფთა ღაზლის წინდები ჩაიცვა,  
ფოსტლების ნაგლეჯში ფეხები ჩაჰყო და დუდუკის  
ხმისაკენ გაეშურა.

ბატონიანთ სახლი კარგა მაღლობ სერზე იდგა  
და თინა თავისი გულის ავათმყოფობის მიზეზით დი-  
დის ვაგლახითა და გაჭირვებით მიაბიჯებდა, მაგრამ  
თვალ-წინ მის მოგონებას ისეთი საოცნებო,

ისე ფერად-ფერადი ზოლებით მოქარგული სურათი ეხატებოდა, რომ თავის გაქანებულ ქშენას, ყელში მობჯენილ სულს ყურს აღარ უგდებდა და მხოლოდ მოგონებით გამოწვეულ სიტკბონებაში იფლოდა.

მის სამოცი წლის მოწყალებით დაბინდებულ თვალებში თითქო ცეცხლიც კი აინთო, მის მიწის-ფრათ ქცეულ პირისახეს ალის ფერმა გადაჰკრა, უკბილობით ჩავარდნილი მოკუმული ტუჩები ოდნავ გაელო და ზედ ნეტარების ლიმილი დაჭხაროდა: „**ნეტა** იმ დღეს! — გულის სიღრმიდან ოხრავდა საწყალი **თინა**, — სწორეთ ორმოცი წელიწადია მას აქით; ისე მახსოვს, როგორც გუშინდელი დღე, და ან როგორ უნდა დამვიწყებოდა! იმის უკეთესი რა უნახავს ჩემს თვალებს! **თუმცა** ამ პატარა ბატონმა თავისი მამისეული სახლი განაახლა, გაადიდა, გაამშვენიერა, მაგრამ ისევ იმ ალაგას კი დგას და ამაყათ გადმოჰკურებს მთელ ჩართულას ხეობას. **ცხონებული** დიდი ბატონი მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მშვენიერ დიდი გვარიშვილის ქალზე იწერდა ჯვარს და დიდებული ქორწილი გადაიხადა. **მაშინაც** სწორეთ ეს გიორგობისთვე იყო. **თუმცა** ასე არა ციოდა, მაგრამ გიორგობული სუსხი კი მაინც ტრიალობდა. **თავადებს** გარდა შვიდი სოფლის გლეხკაცობა ჰყავდა მოწვეული. **მე** სულ წლის მოყვანილი პატარძალი ვიყავ. **მწვანე** ფარჩის კაბა მეცვა, ალისფერი სარტყელ-გულისპირით, ფეხებზე ალისფერი ახალციხური წულები. **ჰაი,** დედას, მე კი არ ვიყავ აბა ყმაწვილი

ქალი! მთელ ქორწილის ხალხში ისე ვირჩეოდი, როგორც ობოლი მარგალიტი. „პი დაილოცა შენი მშობელ-გამზღველიო“, მომესმოდა აქით-იქიდან— და ძოწივით ვწითლდებოდი...

— პბა პატარძალს პატარძლების ლეკური უჩვენეთო! -- ბძანა დიდმა ქალბატონმა — და ჩვენც იმ დარბაზში შეგვიყვანეს, რომელშიც მეფე-დედოფალი ბძანდებოდა. მე თავჩალუნული, მორცხვათ სხვებს ვეფარებოდი და სხვა სოფლის პატარძლები კიდევ ერთმანეთს. შკან დედამთილები და უფრო სები გვიდგენ. ზაისმა დაირა და დიპლიპიტო და თოთო-თითოდ გამოვედით პატარძლები სათამაშოთ.

როცა ჩემი ჯერი მოდგა, მუხლები ამიკანკალდა, გული ამითამაშდა, სახეზე ცეცხლი წამეკიდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, გამოველ, აქით-იქით დაბლათ თავი დავუკარ და მკლავები გავშალე, გავშალე და დავტრიალდი. აქით-იქიდან ვაშა — ვაშას ძახილი მოისმა, დამკვრელებმა საკრავების დაკვრას მოუმატეს, ტაში გაძლიერდა... შემდეგ რას ჩავდიოდი, აღარ მახსოვს... გონს მხოლოდ მაშინ მოველ, როდესაც დედამთილმა ჩამომძახა: „აკრიფე ე შაბაშის ფული და ბატონებს მაღლი გადუხადეო“. ჩემს წინ ექვსი თუ შვიდი ჯვრიანი ვერცხლის მანათიანი პრიალობდა — და ქართული ორაბაზიანები ხომ რამდენიმე...

ამ ალაგას შესწყდა თინას ბრწყინვალე მოგონება — და დროც იყო: ის ბატონიანთ კარებზე იღვა და ქაქანით იხჩობოდა. „დმერთო, ეს რა მემართება, ეს რა უცნაურათ, რა მძლავრათ აღის

და ჩადის ჩემი გულის ფიცარი! სულიც მეხუთება,  
 ორივე მკლავი მწყდება, გული მისკდება ტკივილით,  
 ძარღვებში თითქო სისხლი მეყინება! ნუთუ ჩემი  
 აღსასრულის დღე დადგა?.. ბავშები! ბავშებს რაღა  
 ეშველებათ?

ზალურჯებული, თვალებჩაცვენილი თინა კი-  
 ბეჭე იჯდა, თავის ბერკეტზე დაბჯენილი, სიკვდი-  
 ლის მოახლოებას გრძნობდა და, როგორც ყოველი  
 მომაკვდავი, შიშით ძრწოდა. ბარშემო ადამიანის  
 ჭაჭანება არსად მოჩანდა, ყველა სულდმული სახლ-  
 ში იყო და იქ გამეფებულ ლხინს შეყურებდა და  
 შეხაროდა.

დიღხანს იყო თინა სიკვდილსა და სიცოცხლეს  
 შუა. შემდეგ გული ნელნელა დაუწყნარდა, სისხლმა  
 ჩვეულებრივ უწყო მოძრაობა, სუნთქვა გაუადვილ  
 და, მკლავების ტკივილი დაეშვა, სიკვდილის შიშმა  
 გადაუარა—და ის წყნარათ შევიდა სახლში და მოსა-  
 მსახურეთა ჯგუფში შეერია.

## II

დიღი ლხინია, დიღი! ჩვენებური, ძველებური,  
 უზომო და განიერი!

პურადი, უხვი მასპინძელი მზესავით გაბრწყინვა-  
 ლებული სახით თავს დასტრიიალებს თავის აუარე-  
 ბელ სტუმარს და ყველას ერთად და თითოეულს  
 განსაკუთრებით ტკბილი სიტყვით, მიმზიდველის  
 ლიმილით იწვევს, ახალისებს სალხინოთ და სალა-

ლობოთ. მრას-სამას კაცამდი წვეულნი უმაღლესი მხიარულების წერტილამდი არიან მისულნი.

ალაგალაგ ხმაშეწყობილი, ტკბილი ღილინი მოისმის, ალაგალაგ ლოთური „პარი-პარალი!“ შორს დარბაზის კუთხეში დუდუკი შიქასტას ღულუნებს, საზანდარი „რაჟაბს“ მღერის.

შალნინაზობენ, კეკლუკობენ, თვალთაგან ცეცხლებს აფრქვევენ, ვაჟკაცნი-შეზარხოშებულნი-მათ თვალთ გიშრის ტბაში სიამოვნებით ბანაობენ. ტოლუშბაში, ღირსეული მეთაური ღირსეული კრებულისა, ღირსეულათ ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას და ისეთი მჭევრმეტყველებითა და გატაცებით წარმოსთვამს სადღეგძელოებს, რომ სუსველანი ერთხმივ, დაუყოვნებლივ ასრულებენ მის ბძანებას და სიამოვნებით სცლიან ლალისფერი ღვინით ავსილ ჭიქებს.

ლხინი იქამდი მივიდა, როდესაც კაცის ბუნება ვეღარ იტანს ერთ ალაგას ჯდომას და უფრო მძლავრ მოძრაობას, უფრო მძლავრ გამოხატულებას, მხიარულებას ებრძის.

— აბა, მსეფავ, ლეკური! დაიღრიალა ვიღაცამ — და მონასტერი აირია. ხალხი აიშალ-დაიშალა, სუფრები მისწი-მოსწიეს, ძვირფასათ მოწყობილი სუფრა მგლების ნასუფრალიცით გაიღელ-გამოიღელა. შეიქნა მისვლა-მოსვლა, სიცილ-კისკისი, ხარხარი; ლეკურმა უცბათ შესცვალა დუდუკის წყნარი შიქასტა.

საჩქაროთ გაკეთებულ წრეში გაჩნდა მშვენიე-

ରି ଅବାଲଗାନ୍ଧିଦୂ, ଅଲ୍ପବିଳ ବିଳ ମହିରୁଷି ଶାନ୍ତାଦି; ମାନ ଅନ୍ତିମିକ୍ଷିତ ଗାଢାଲା ତାବିଳି ମଦଲାଫରି ମୁଲାଙ୍ଗେଦି, କୁଳେରି କ୍ଷେତ୍ରଜ୍ଞପାତ ମିମର୍ବାରା ଲା ନେଲନ୍ତେଲା ରହେବିଲ, ଫରଟେ-



ଦିଲ ମାଗ୍ବାରାଟ ମୁଲାଙ୍ଗେଦିଲ ଜ୍ବେବିଲ, ହିମବିଲ କାଳତେବିଲ  
ଶରୀରାଲ-ଫରୀରାଲିଲ ଲ୍ଲେଖୁରି ହାମର୍ଯ୍ୟାରା; ଓ ଅଜିତ-ଅଜିତ

ავლებდა თავის მშვენიერ შავ ბრიალა თვალებს და მშვენიერთა შორის თითქო ვიღაცას ეძებდა ლეკურ-ში გამოსაწვევათ.

დარბაზის გაღებულ კარებში მრავალი მოსა-მსახურე იდგა და პირდაღებულნი უცქეროდენ ბა-ტონების ლხინსა და ნადიმს; ამათში ორიოდე გლეხ-კაცის ჭუჭყიანი მაზარაც მოჩანდა და მათ შორის დედაკაცებიც მორცხვათ გამოიყურებოდენ. უცებ ამ კარებილან წამოვიდა ბებერი თინათინა, ოთახის კუთხეში მიაყუდა თავისი ბერკეტი, იქვე ფოსტლები წაიძრო და მარტო წინდების ამარა ყმაწვილ მოთა-მაშეს გამოეთამაშა. სტუმართ ყიჯინი ასტეხეს, და-რთულნი და ბრწყინვალე მანდილოსანნი ისტერიულ-მა სიცილმა შეიპყრო, სახლის პატრონი გასახტე-ბული, გაოცებული იდგა და არ იცოდა-რა ექნა: გაეგდებინებინა ლაქიებისათვის ეს გამბედავი, კონ-კებში გახვეული მოხუცი, თუ სხვებთან ერთად და-ეწყო სიცილი და აღტაცებული ყიჯინი.

თინა კი ამასობაში ხელებგაშლილი, თავაღე-ბული, ტუჩებმოკუმული, სერიოზულათ, ციბრუ-ტივით ტრიალობდა, ძველებურათ ბუქნით უვლიდა დავლურს. თავმომწონე ვაჟკაცი არ შეკრთა, არ იუ-კადრისა დაგლეჯილ, ჭუჭყიან ძონდებში გახვეულ მოხუცთან თამაში - და, საერთო სიცილ-ხარხარით გახელებულმა, დაპირინა და დაპირინა თავის მშვე-ნიერ „დამას“, განიერათ გაშლილი მკვლავები თავზე გადაწყო და მოღიმარი თვალები, ვითომ არშიყო-ბით დამჭენარ, მკვდრის ფერათ ქცეულ სახეზე და-

აშტერა. სიცილ-ხარხარმა სიგიურემდი მიაწია.

შალებს მეტი სიცილით თვალებიდან ცრემლები სდი-  
ოდათ, კაცების ტაშის კვრითა და ვაშას ძანილით სახლი  
ზანზარობდა. მოსამსახურეები შეუნიშნავათ ბატონებ-  
ში აირიენ და მათთან ერთად შეჰქმნეს უივილ-ხივილი.



დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადაატრიალა,  
ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთს  
მძლავრათ ამოიფშვინა — და იატაკზე დაეცა.

FS

5512

1

საკრავის ხმა შესწყდა. მოკიუინე ქალ-ვაჟთ ულ-  
მობელი სურათის წინ ბაგე შეეკრათ. მხიარული  
სახლის პატრონი მთლათ დაიბნა.

ჭამის წინათ ცამდი აწვდენილი ბედნიერთა  
მხიარულება უკიდურეს მდუმარებათ შეიცვალა.

იატაკზე გაშეშებული ეგდო სათამაშოთ ხელებ-  
გაშლილი, თვალებდაჭყეტილი, საოცარი ტანჯვით  
ჯვარცმული თინათინა და თავისი საზარელი შეხე-  
დულებით იქ მყოფთა გულში რაღაც ტკივილს,  
რაღაც სინიდისის ქენჯნას იწვევდა.

არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ხმა არ არღვევ-  
და იმ საშინელ სურათს, რომელსაც სიკვდილი  
და მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლმე ცოცხ-  
ლებს და გაახსენებს სოფლის ამაოებას.

— ბები, ბები! მართლა მოკვდი?! პურს ვიღა  
გვაჭმევს! გაისმა ამ საოცარ სიჩუმეში—და ბების  
მოლოდინით გაბეზრებული ორი მშიერი, ტიტლი-  
კანა, სიცივისაგან გალურჯებული ბალლი შემოვარ-  
და ოთახში—და ღრიალით დაეკონენ გაცივებულ  
გვამს. სურათი შემზარავი იყო; აქამომდე გამეფე-  
ბული მდუმარება დაარღვია საერთო ტირილმა—და,  
წამის წინათ ხარხარით მოღალული საზოგადოება,  
ახლა გულწრფელათ ღვრიდა მდუღლარებას.

— მოწყალება ობლებსო! ვიღაცამ წამო-  
ძახა.

გულგალმობიერებულმა საზოგადოებამ ხელი  
იკრა ჯიბეს და უხვათ გასცა მოწყალება.

თინას ლოცვა აუსრულდა: მან სამუდამოთ  
განისვენა და მისმა უკანასკნელმა „შაბაშმა“ მის  
ობლებს ლუკმა გაუჩინა.



ე  
ს





ଜ୍ଞାନୀ ପ୍ରକାଶନ ପରିଚୟ.

ת-0060-0  
010-1110-05

